შაბათი, 1918 წ. თიბათვის 15 № 117

ყოველდღიური გაზეთი

ფასი თბილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებზე [illegible]

შაბათი, 1918 წ. თიბათვის 15 № 117

ბიბლიოთეკა

# საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის გვარი და მისამართი. უსასყიდლოდ გამოგზავნილი მასალა უფასოდ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია ავტორთან მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადად მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

კონტორა

[illegible] —18 მ. [illegible] (წლიურად ქალაქში) 6 მ. და 50 კ. ცალკე № 30 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტის პირველ გვერდზე 60 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოეული ზომით: 20×2—15 მანეთი, 30×2—20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 1 მან. ქალაქგარეთ 1 მ. და 50 კ. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქალაქის [illegible]. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

## ცნობები:

სტამბოლში კონფერენციაზე დელეგატებად გაიგზავნენ ევ. გეგეჭკორი, ნიკ. ნიკოლაძე, ირ. წერეთელი, გრ. რცხილაძე, გენ. ოდიშელიძე და გ. გვაზავა.—„ჰორიზონის“ ცნობით ბაქოში ინგლისელების ჯარი მოსულა.—მთავრობამ გადასწყვიტა ჯარში გაიწვიოს ყველა ვინც 19—23 წლისაა. დანარჩენებს დაითხოვს სამხედრო მინისტრი. ოსები საქართველოსთან შემოერთებას თხოულობენ.

## ქართული კლუბი

კვირას, 16 ივნისს გაიმართება

### გ. ქუჩიშვილის დილა

ივ. გომართელი—ლექცია. გ. ქუჩიშვილი—ახალი პოემა. ვ. რუხაძე, დ. შინატეხელი და ვ. სათაშვილი.—დეკლამაცია. ნ. გოცირიძე, გ. იორდანიშვილი და რ. ჯიბილი—სცენები. ილ. ქურხული—სკრიპკა. ძმანი კაჭახიძენი—სიმღერები. ი. სილიბაშვილი—თარი.

დასაწყისი დილის 12 საათზე

ბილეთები იყიდება კასაში გუმეც ვ. სათაშვილი

ღრმად დამწუხრებულნი დანი: ელისაბედ ჩიჩინაძისა და ქალწული ნინა თოფურიას ასული, გულითადი მეგობარი ეფემი მიხეილის ძე გაბუნია აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

### მიხეილ დიმიტრის ძის თოფურიძის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს, შაბათს საღამოს 7 საათზე ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში. გამოსვენება ამავე ეკლესიიდან შემდეგ წირვისა, კვირას 16 ივნისს, დასაკრძალავად კუკის წმ. ნინოს სასაფლაოზე 1—1660—1

გულითადი მწუხარებით: ბიძაშვილნი: სამსონ კოსტას ძე მეუღლით მარიამით, მარინე კოსტას ასული თოფურიძეები, და სიძე მიხეილ მეუღლით ელენე კოსტას ასულით პიქაძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა უდროოთ გარდაცვალებას

### მიხეილ დიმიტრის ძის თოფურიძისას

პანაშვიდი საღამოს შვიდ საათზე დღეს, შაბათს ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში, გამოსვენება ამავე ეკლესიიდან, შემდეგ წირვის კვირას 16 ივნისს, დასაკრძალავად წმინდა ნინოს სასაფლაოზე. 1—1660—1

გიორგი ნიკოლოზის ძე შვილებიანურთ აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ კვირას 16 თიბათვეს ავლაბრის წმინდა მარინეს ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ მეუღლის და დედის

### თამარა ლუკას ასული კვეზერელი-კოპაძის

სულის მოსახსენებლად. წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე. პანაშვიდი 12 საათზედ. 2—1659—1

## სტამბოლის კონფერენცია

ბერლინიდან ოფიციალური ცნობა მოვიდა, რომ საქართველოს დელეგაციამ ჩხენკელის მეთაურობით გერმანიის მთავრობის წინაშე აღძრა შუამდგომლობა, ახალი კონფერენციის მოწვევის შესახებ საქართველოს საქმეებზე. ამ კონფერენციაში მონაწილეობა უნდა მიეღო ოთხთა კავშირის ყველა სახელმწიფოებს—გერმანიას, ავსტრო-უნგრეთს, ოსმალეთსა და ბულგარიას ერთის მხრივ და საქართველოს მეორეს მხრივ.

ჩხენკელის შუამდგომლობა კეთილად დაგვირგვინდა. სტამბოლში მოწვეულია ახალი საზავო კონფერენცია და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებიც უკვე გაემგზავრენ თბილისიდან ამ კონფერენციაზე.

მრავალი შეცდომების, მრავალი მარცხისა და განსაცდელ ეროვნულ უბედურობის გამოწვევის იმედი კვლავ აღეძვრება ქართველ ერს ამ ახალი საზავო კონფერენციის მოწვევის გამო. ტრაპიზონის და ბათუმის კონფერენციებმა გაუცრუეს ქართველ ერს ასეთი იმედები და მძიმე პირობებიც მიაყენეს ახლად აღდგენილ სახელმწიფოს. ჩვენ კვლავ მტკიცედ გვწამს, რომ ოთხთა კავშირის სახელმწიფოთა ინტერესები არ მოითხოვენ რომ პატარა საქართველო სრულიად სისხლიდან დაიშრიტოს და ქვეყნის პირიდან აღიგაოს მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ნაწრთობი საქართველოს სახელმწიფოებრივობა.

შუა ევროპიდან მომდინარე ტალღებს არ ეღობება წინ პატარა საქართველო. მას სურს თავის ბედი შეუთანხმოს და შეურიგოს ამ ძლიერის მიმდინარეობას. ის უნდა გახდეს ბაზად, გამტარებლად ამ კულტურულ-ეკონომიური მიმდინარეობისა და ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ შუა-ევროპის სახელმწიფოები, ჩაქრობენ საქართველოში სახელმწიფოებრივ ცეცხლს, არ დაუხშობენ ქართველ ერს ბუნებრივი განვითარების გზებს.

ტრაპიზონში და ბათუმში საქართველო შექმნა მსხვერპლი ოსმალეთის გაღვიძებული მადის. ოსმალეთმა უკიდურესობამდე ისარგებლა ჩვენი დღევანდელი უძლურებით და ისეთს პირობებში ჩაგვაყენა, რომელშიც ნორჩსა და სუსტ სახელმწიფოს ყოველგვარი საშუალება ესპობა სახელმწიფოებრივი ცხოვრების შექმნისა და განმტკიცებისათვის.

ტრაპიზონში და ბათუმში ჩვენ სავსებით ოსმალეთზე ვიყავით მინდობილი და ჩვენდა სამწუხაროდ ჩვენთან მოლაპარაკებაში ოსმალეთმა დიდი შეურიგებლობა გამოიჩინა. ვფიქრობდით, რომ საქართველოს ასეთი შევიწროება თვით ოსმალეთისთვის არ იყო სასარგებლო. ჩვენ არ გვეგონა, რომ ასე გადაჭარბებული იქნებოდა ოსმალეთის პრეტენზიები. მაგრამ ოსმალეთმა მომენტით სავსებით გამოყენება მოინდომა მხოლოდ და მომავლის გაპრევტა არ ისურვა. საქართველოს ისტორია არ დასრულდება თემურლენგისა და შაჰაბაზის შემოსევით და ჩვენ ვფიქრობთ ის არც ბათუმის სამარცხვინო ზავით დასრულდება.

ოსმალეთს სტამბოლის კონფერენციაზე ლეგალური შემთხვევა ექნება საქართველოსთან დამოკიდებულობა შეამსუბუქოს, გამოასწოროს და მასთან ნამდვილი მეგობრული დამოკიდებულობა აღადგინოს. კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნებიან ოსმალეთის ყველა მოკავშირეები და ეს კიდევ უფრო გვაიმედებს, რომ საქართველოს გაანთავისუფლებენ ტრაპიზონისა და ბათუმის კონფერენციების მძიმე შედეგებიდან და მით სახელმწიფოებრივი განვითარების საშუალებას მიანიჭებენ.

## დემაგოგია

ჩვენმა სოციალდემოკრატებმა ბედის დიდი ცვალებადობა განიცადეს ამ ერთი წლის განმავლობაში: დევნილნი იყვნენ, მდევნელნი გახდნენ: სარდაფებში იყვნენ მიმალული, სასახლეების მაღალ დარბაზებში აცოცდნენ. ტალახში ფეხით ჩანჩალის ნაცვლად—ავტომობილები და მეჩექმეობის მაგიერ—მინისტრობა, გენერლობა.

მარქსმა სთქვა—მდგომარეობა ჰქმნის აზროვნებას, ხასიათსაო და ჩვენ გვეგონა, რომ სოციალდემოკრატები გაამართლებდნენ თავის მასწავლებელის სიტყვებს, მაგრამ მოგვატყუვდით. ჩვენი სოციალდემოკრატები მხოლოდ გარეგნულად გამოიცვალნენ. ბუნება მათი, ხასიათი დარჩა ისევ ძველი. იქნებ მარქსი მართალი იყოს საზოგადოთ, მაგრამ მას აშკარა ტყუილი უთქვამს თავის მოწაფეებზე.

მათი ბუნება იყო და არის დემაგოგია და დემაგოგია.

თქვენ მათ გაიფრთხილებთ: რუსეთის რევოლუცია დაღუპა და გააკოტრა ისეთმა პოლიტიკამ, რომელსაც თქვენ ეწევით კმარა, აწ მაინც მოდით გონს თქო. „ერთობა“ გადააბრუნებს სიტყვებს და დაგვაბეზღებს თავის მკითხველებთან — ეროვნულ-დემოკრატები აშკარად ილაშქრებენ რევოლიუციის მონაპოვარ თავისუფლების წინააღმდეგ და კონტრრევოლიუციისათვის ემზადებიანო.

ვუსაყვედურებთ ჩვენ სოციალდემოკრატებს, რომ მათი უკიდურესი კლასიური და პარტიული პოლიტიკა ეწინააღმდეგება ხალხის ინტერესებს, ვინაიდან ამეფებს უწესრიგობას, ანარქიას და ძალმომრეობას, „ერთობის“ დემაგოგები სიტყვებს გადაატრიალებენ და აზრებენ თავის მკითხველებს: ხედავთ ეროვნულ-დემოკრატები როგორ ნატრულობენ დემოკრატიის დასამარებასო.

საკმარისია აღვნიშნოთ, რომ რუსეთის რევოლუციამ თავიდანვე მრუდე მიმართულება მიიღო და ამის გამო უდღეური და უსიცოცხლო გამოვიდა ყველა მისი ნამოქმედარი-თქო, „ერთობის“ მეპრესე გვიკიჟინებს—ახედეთ როგორი უზარიათ ჩვენს შავრაზმელებს, რომ რუსეთის რევოლუცია დამარცხდა, ახედეთ როგორ უდიერად იხსენიებენ ისინი ორაკლი წერეთელს, თითქოს ის დემოკრატიას ასაფლავებდესო. განა „ერთობის“ მეპრესემ არ იცის, რომ ჩვენ ამით წერეთელზე აუგს კი არ ვამბობთ, არამედ ქებით ვიხსენიებთ, რომ ის მუდამ ასამარებს არა დემოკრატიას, არამედ „ერთობის“ მეპრესის მსგავს რევოლუციონერების მავნე ნამოღვაწარს და მით სწმენდს, რამდენადაც კი შეუძლიან, დემოკრატიული განვითარების ასპარეზს. რუსეთის რევოლუციის ცუდი შედეგების დასამარება განა ცუდი დამსახურებაა თუნდაც თვით დემოკრატიის წინაშე?

„ერთობის“ მწერლებმა კარგად უწყიან, რომ ჩვენ, როგორც მუდამ წინედ, ისე ეხლაც მტკიცედ ვადგავართ ჩვენს ჩვეულებას, რომ მოწინააღმდეგის მოღვაწეობა სამართლიანად შევაფასოთ, კარგი მოვიწონოთ, ცუდი დავიწუნოთ.

დემაგოგია ცუდი ჩვეულებაა პოლიტიკაში.

ივ.

## ქართული პრესა

გაზეთი „ერთობა“ ჩვენსა და ჩვენს მეზობლებ შორის გამიჯვნის შესახებ სწერს:

„არსებობს ორი მთავარი პრინციპი: რეალურ მოსახლეობის და ისტორიული. სანამ ამიერ-კავკასია ერთს მთლიანს და დამოუკიდებელს რესპუბლიკას შეადგენდა ჩვენ რეალურ პრინციპს ვადექით. სხვაგვარათ არც შეიძლებოდა. რეალური მოსახლეობის პრინციპით ხელმძღვანელობა ნიშნავს ქვეყნის ისეთს ეროვნულებათ დანაწილებას, რომელიც იმდენ ყურადღებას არ აქცევს არც ეკონომიურს და არც სტრატეგიულს მხარეებს. მართლაც მთლიან ამიერ-კავკასიას ხომ ერთი ეკონომიური პოლიტიკა ექნებოდა და ერთი საერთო საზღვარი. ამიტომ ამ სახელმწიფოში მოსაზღვრე სამს ერს გამიჯვნა უნდა მოეხდინა ეროვნულ-კულტურული ინტერესების მიხედვით და, ვინც სად მოსახლეობდა, ეს იქნებოდა მისი ტერიტორია.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის დაშლამ საქმე სულ სხვაგვარათ შეატრიალა და ამ შეცვლილ გარემოების მიხედვით ჩვენც იძულებული ვართ მარტო რეალურ მოსახლეობის პრინციპს არ დავეყრდნოთ. დღეს ჩვენც ცალკე სახელმწიფოს წარმოვადგენთ. საქართველოს რესპუბლიკა თუმცა პატარაა, მაგრამ მაინც სახელმწიფოა, რომელიც დაინტერესებულია თავისი საზღვრები დაიცვას და შექმნას ისეთი ფინანსიურ-ეკონომიური მდგომარეობა, რომ ერს ცხოვრება შეეძლოს. ამისთვის საქართველოს რესპუბლიკა ვალდებულია გაითვალისწინოს ჩვენი ქვეყნის მომავალი ბედი, არ უნდა დაივიწყოს ოთის შესაძლებლობა. უნდა ითქვას, რომ გეოგრაფიულ პირობების მიხედვით ჩვენმა წინაპრებმა ამ მხრით უკვე შექმნეს ერთგვარი სტრატეგიული რკალი, რომელშიაც საქართველო მოიქცეოდა. ისტორიიდან ვიცით, რომ ყოფილა ეპოქები, როცა საქართველოს ძალა-უფლება ვრცელდებოდა მთელს იმ ტერიტორიაზე, რომელიც შავსა და კასპიის ზღვებს შორის იყო გადაჭიმული. ჩვენ ასე შორს, რასაკვირველია, არ მივდივართ. მაგრამ ერთგვარი ისტორიული მინიმუმი მაინც უნდა დავიცვათ, რამდენათ ამას სახელმწიფოებრივი ინტერესი მოითხოვს. ასეთი მინიმუმია თფილისის გუბერნია და სანგილო ან ზაქათალის აღნიშნული მოსაზღვრობა აუცილებლათ საჭირო იყო და არის აგრეთვე ჩვენი ეკონომიური წარმატებისათვის. თუმცა უმთავრესი ყურადღება ჩვენ უნდა მივაქციოთ სტრატეგიულ მდგომარეობას. ჩვენ რომ მარტო რეალურ მოსახლეობის პრინციპი მივიღოთ, მაშინ ერთიან ახლოს დარჩება ჩვენი დედაქალაქი თფილისი გარეშე სახელმწიფოს საზღვრიდან და მისი დაცვის საქმე მუდამ საფრთხეში იქნება. ჩვენ რომ საქმე გვქონდეს მარტო სომხეთის და აზერბეიჯანის რესპუბლიკებთან, რასაკვირველია, დიდ შიშს კიდევ არ ექნებოდა ადგილი, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ოსმალეთის ულტიმატუმის მიღებით სომხეთი, როგორც სახელმწიფო, არარად იქცა, სამაგიეროთ გაძლიერდა ოსმალეთი და შემდგომ აზერბეიჯანი, რომელიც ოსმალეთს შეუერთდება. ამის ცხადი ნიშნები უკვე არის: განჯაში და ზაქათალაში დღეს ოსმალეთის დროშა ფრიალებს. ასეთს პირობებში რეალურ მოსახლეობის პრინციპით ხელმძღვანელობა ერთავათ ოსმალეთის ხელში ჩაგვყრიდა. ჯავახეთმა უკვე იგემა ოსმალეთის რეჟიმი და დღეს ჯავახელი ქართველები ბორჯომ-ბაკურიანის ტყეებში არიან შეფარებული. ასეთივე იქნე-

ვა ჩვენი ბედი ოსმალეთის სიახლოვის გამო. და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენი მეზობელი—სომხები და მუსულმანები აღნიშნულ გარემოებას სათანადო ანგარიშს გაუწევენ და მორიგება საზღვრების შესახებ ადვილად მოხდება.

ჩვენს ტერიტორიაზე მოსახლე დემოკრატია—ქართველი იქნება ის თუ სომეხი ან თათარი, დაინტერესებული უნდა იყოს საქართველოს ისტორიულ საზღვრების აღდგენით, რადგან ეს იქნება საერთო დემოკრატიულ საქმის წარმატება. თუ მართალია ის, რომ სხვა ერებს ძველადაც არ ავიწროებდენ ჩვენი წინაპრები, მით მეტი გარანტია ექნებათ ამ ერებს იმ შემთხვევაში, თუ კი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაზღვეული იქნება ოსმალეთის შემოსევისაგან.

## წითელი გვარდია და რეგულიარული ჯარი

ქართველმა კაცმა გულის ტკივილით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ასეთ საპირბოროტო ჟამს საქართველოს არა ჰყავს მოწყობილი ჯარი, რომელსაც შეეძლოს არა თუ საქართველოს პოლიტიკის დაცვა და სათანადო სიმაღლეზედ მისი დაჭერა, არამედ საქართველოს დღეს უძნელდება თხისა და ცხენის ქურდებთანაც გამკლავება.

როცა ჩვენს ტერიტორიაზედ ხდება ნაწილობრივი აჯანყება, წარმოებული ჩვენი სახელმწიფოს ფეთების შესარყევად, ჩვენი სამხედრო ძალა ჰმართავს მოჯანყეებთან მიტინგებს და ცხარე სიტყვებს ეუბნება, მის მაგივრად, რომ მოჯანყენი სასტიკად დაისაჯნონ და არა თუ თითონ პერსონები დაისაჯნონ, არამედ დაისაჯოს ის ხარეც, რომელიც საშვილიშვილო საფრთხეს უქმნიდეს ჩვენ სამშობლოს.

ჩვენ სამხედრო ძალას საჩქარო შველა უნდა. არ შეიძლება არსებობა ერთ და იმავე დროს ორი ტიპის ჯარისა როგორიც არიან არმია და გვარდია. ამ რამდენიმე დღის წინად ჩვენს გაზეთში სამართლიანად იყო აღნიშნული ის ნიშნები, რითაც არმია და გვარდია ერთმანეთში განირჩევიან.

ამის შესახებ „ერთობა" თავისებურ დემაგოგიურ პასუხს იძლევა:

„ნაციონალ-დემოკრატებს დიდი სურვილი აქვთ რევოლუციის დასამარხების... უკრაინაში ხომ აღადგინეს გერმანელებმა ძველი რეჟიმი, მიწებიც დაუბრუნეს მემამულეებს და აბა, როგორ არ უნდა აუტოკდეს გული ეროვნულ დემოკრატებს... საქართველო წყალს იჯერებს და თავისი ბინძური კალმით ამაოდ ცდილობს დემოკრატიის გაბიაბრუებას... და სხვა..

მოვალედ ვთვლი ჩემ თავს მოკლედ უპასუხო ამ დებულებებზედ „ერთობის" მეპრესეს, თუნდაც იმიტომ, რომ მისი თავმოყვარეობა დავაკმაყოფილოდ. ნაციონალ-დემოკრატებს არა სურთ რევოლუციის დასამარხება, არამედ მოითხოვენ, რომ გვყავდეს ძლიერი ჯარი და ვიდრე გვარდია იქნება ჩვენ ჯარს ვერ შევადგენთ, რადგან მოქალაქეს ურჩევნიან, როგორც ყოველ სულდგმულს, მსუბუქ სამსახურს წაიღოს ხელი ვიდრე მძიმეს. გვარდიაში სამსახური სუბუქია და შეღავათიანი და ჯარში სამსახური კი საძნელოა და არაფერს შეღავათს არ აძლევს ჯარის-კაცს. გვარდიელს შეუძლიან შინ იჯდეს თუ პოზიციებზედ არ წაიყვანეს და თუ წაიყვანეს პოზიციებზედ ჯამაგირი ენახება იმ დაწესებულებაში სადაც მსახურობს. ჯარის-კაცი კი ვერც შინ დაიძინებს და თავის ოჯახში ვერ იქნება და არც ჯამაგირი ენახება თუ სადმე მსახურობს. ისე რომ „ერთობის" მეპრესეს რომ მოუწიოს ჯარში წასვლა მე დარწმუნებული ვარ გვარდიაში წავა და არა ჯარში, მით უმეტეს, რომ გვარდიაში ს. ახმეტელაშვილი, ვ. ჯუღელი და უბრალო გვარდიელი თანასწორნი არიან ბანაშიც მიტინგებზედ ლაპარაკშიც და გვარდიელს უფროსი ვერ უბრძანებს, რაც აუცილებელია ყოველ კულტურულ ხალხის ჯარში და არმიაში კი „ერთობის" მეპრესეს მოუნდება ჯამაგირიც დათმოს, პაპაპიროსებსაც „ჩესტი" უნდა გაუკეთოს და არც მიტინგებს ნახავს არმიაში და ესე იგი ვერც ილაპარაკებს, რასაც ყოველი ქართველი დღეს ჩვენდა საუბედუროდ თავის ორგანიულ საჭიროებად სთვლის. ასეთია განსხვავება არმიასა და გვარდიის პირობებში და ამ განსხვავების დანახვას არა სჭირია დიდი ინტელიგენტობა და პუბლიცისტობა. ამას ყველა მიხვედრილია და ეწერებიან გვარდიაში. თითონ „ერთობა" სწერდა და მათი პარტიის ლიდერები აღიარებდნენ სიტყვიერად, რომ საჭიროა არმია და მისი დისციპლინაო, რადგან გვარდიაში შეუძლებელია დისციპლინის შემოღებაო, რადგან ძლიერი არმიის ყოლა სასარგებლოა ჩვენი სამშობლოსათვის, მუხედავად იმისა თუ ჩვენ გვიყვარს ჩვენი სამშობლო, გავეუქმოთ გვარდიის დაშლა, რომლის არსებობა ხელს უშლის არმიის შექმნას. ამნაირად ჩვენ რევოლუციის მტრები კი არა ვართ და მისი დასამარხება კი არ გვინდა არამედ გვსურს დათხოვნილ იქმნას გვარდია, ის გვარდია, რომელიც დღეს გვიშლის ხელს და ღმერთმა კი დიდი დღეგრძელი მისცეს მას როგორც რევოლუციის წინაშე ისე ჩვენი სამშობლოს წინაშე და უსამართლობა იქნებოდა, რომ ეს უკანასკნელი არ აღვნიშნოთ. მე დარწმუნებული ვარ, რომ თუნდაც „ერთობის" მეპრესე გაჰიროვნულდეს და არ დაეთანხმოს ჩვენი მოსაზრების სამართლიანობაში და გვარდიის დაშლის აუცილებლობაში, თვითონ გვარდია, რომელიც შესდგება ნამდვილ ქართულ დემოკრატიისაგან, ამ დასკვნამდე ადრე თუ მალე მივა და თითონვე დაადგენს: დაყოვნება ამისი არ შეიძლება, რადგან გვარდიელების სამშობლო გარემოცულია სწორედ იმ მტრებისაგან, რომლის მოსვლის სურვილს „ერთობის" აზირებული მეპრესე ჩვენ გვიკიჟინებს და ჩვენ კი ვეხვეწებით განჩენილს ჩქარა შეიქმნას ქართული არმია, რომელიც ამ მტრებს მოიგერიებს. მუშებს უფრო უნდა ესმოდეთ არმიის შექმნის საჭიროება ვიდრე „ერთობის" უსაქმო მეპრესეს, რომელსაც არაფერი ეკარგება აბდაუბდა წერით და ხალხი კი შეიძლება მისი და მისთანა ვაჟბატონების მეოხებით აუწერელ განსაცდელში ჩავარდეს.

ეროვნულ-დემოკრატებს მიწების დაბრუნების იმედით გული აუტოკდათო სწერს „ერთობის" მეპრესე. ჩვენ არა ვართ მემამულეების პარტია ისევე როგორც არა ვართ პროლეტარებისა, გლეხებისა ან ბურჟუაზიის, რადგან ჩვენა ვართ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პარტია და არა ეგოისტური კლასობრივი. კლასები თავისი კლასობრივი ინტერესების გულისთვის, ისეთ წარმოებულ ქვეყნებში, როგორიც არის რუსეთი და საქართველო, ღუპავენ ხოლმე სამშობლოს. ჩვენ კი მუდამ მოუწოდებდით ყველას, რომ მათ თავისი პირადი და კლასიური ინტერესები დაუმორჩილონ მთელი ერის, მთელი ქვეყნის ინტერესებს. ჩვენ სათაკილოდ მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, რომ ჩვენს თანამოაზრეთ ანარიის ფრონტზე აწყურში, თუ სხვა ადგილებში ამ მცნებისათვის არ უღალატნიათ, ეს მათი მამულიშვილური მოვალეობა იყო და ერის დროშა არ შეურცხვენიათ. ჩვენები არ ქმნან პარტიულ რაზმებს და გვარდიაში არ ეწერებიან, რადგან ეს ჩვენი მსოფლმხედველობის წინააღმდეგი არის, თუმცა სახარბიელო პირადი „მოწყობისთვის". და ვინ არის მამულიშვილი—ისინი, ვინც ემსახურება საქართველოს ჯარს, საქართველოს დროშას, თუ ისინი, ვინც ჰქმნის პარტიულ ჯარს, კლასიურ რაზმებს და ბრძოლის ველზე ნაცვლად საქართველოს დროშისა მარქსის სურათს მიიძღვარებს, ამას ჯერ კიდევ ვერ მიხვდება „ერთობის" მეპრესე, მაგრამ ამას უკვე ნათლად ხედავს ქართველი ერი.

ჩვენ მოვუწოდებთ სამშობლოს სიყვარულისათვის საბრძოლველად, უანგაროდ, სამშობლოს დასაცავად, სოციალ-დემოკრატები კი ხალხს იმით აშინებდნენ, რომ, თუ ომში არ წახვალ, სამი ქცევა მიწა რომ უნდა გეგოს კომიტეტისაგან ნაჯარიდა, იმას აღარ მოგცემთო. ამ უკეთო დამაშინებელს ქართველმა გლეხებმა ჰკვიანური პასუხი მისცეს: „ვისაც ... ბით დიდი ... ჰქონდა და ... ის არ გვაკლდავს თავსაო და ჩვენ როგორ შევაკლათ თავი სამი ან ოთხი დღის მიწისათვის ოსმალეთს თუ კი ისინი მეტს არაფერს გვეზამენო". რასაკვირველია ეკონომიურ ფაქტორს დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოვრებაში და ხშირად გადამწყვეტიც, მაგრამ იგი აბსოლუტი მოვლენა არ არის. არის მასზედ მაღალი ზნეობრივი ფაქტორიც, სადაც კაცს მარტო დაკმაყოფილებული სასწორი კი არ უჭირავს, რითაც სანოვაგესა სწონავს, არამედ მეორე ბრძოლის სასწორიცა აქვს, რომლითაც ფაქიზი და მაღალი მცნებები იწონება. ისეთ ქართველ სოციალ-დემოკრატებს, როგორიც არის „ერთობის" მეპრესე ამ ჟამად ალბად შეუძლიან სამშობლო დაუთმოს 8 საათის სამუშაო დღისათვის 8-ნახევარის მაგიერ და მეტი დროისაც, რაზედ რუსეთის სოციალდემოკრატიამ ერთ შეაცდინა გერმანელი მუშები, რომლებმაც უპასუხეს რუსებს: ჩვენ ჯერ გერმანელები ვართ და მერე მუშებიო. მეც ვისურვებდი, რომ როგორც ჩვენ ეროვნულ-დემოკრატები ვართ ჯერ ქართველები და მერე ამა თუ იმ კლასის ინტერესებთან დაკავშირებულნი, ისე სოციალდემოკრატები ყოფილიყვნენ ჯერ ქართველები და მერე „პროლეტართა პარტია". შინაური ანგარიშების გასწორებას მოვასწრობთ და სამშობლოს ნუ დავღუპავთ.

„ერთობის" მეპრესე რომ სწერს ვითომ ჩვენ დემოკრატიის გაბიაბრუება გვსურდეს, ეს არ გამომდინარეობს ჩვენი სიტყვებიდან. დემოკრატიას კი არა ვაბიაბრუებთ, არამედ ვაფრთხილებთ, რომ მან თვით არ გააბიაბრუოს დემოკრატიის საქმე შემცდარი პოლიტიკით. რასაკვირველია ჩვენი რჩევა საგულისხმო არ არის სოციალდემოკრატიისათვის და ისიც არასოდეს არ უწევს ანგარიშს გონიერ რჩევას.

გარდა იმ განსხვავებისა არმიისა და გვარდიის პირობებში, რომელნიც ძალიან საინტერესონი არიან მოქალაქესათვის, როდესაც იგი ხდება ჯარის კაცად, არსებითი განსხვავებაც არის. გვარდიაში არიან „ამხანაგები" რომელთაც ზეპირად აქვთ პირობა დადებული რომელია უფროსი და რომელი უმცროსი. ისინი თავ-თავიანთ ოჯახში ცხოვრობენ და კვირაში ერთხელ რომ იყარებიან დიდი საქმეა, მხოლოდ მეორე კვირისათვის დაავიწყდებათ იმის ნახევარი რაც წინაკვირაში ისწავლეს. ამასთანავე ამხანაგი ვ. ჯუღელი ვერ უბრძანებს თავის პარტიულ ამხანაგს რამის გაკეთებას და ვერც მოსთხოვს, რადგან შეიძლება, ამხანაგი გვარდიელი გაწყრეს. გვარდიელსაც ეუცხოვება ბრძანების მოსმენა უფროსისაგან და უფროსს „ამხანაგსაც" ეჩოთირება უბრძანოს ამხანაგს, რომელთანაც ის მეჯლისობს, ბანაობს და დროსაც ატარებს, როგორც ყოველი ჩვენგანი კერძო ცხოვრებაში და თუ ჯარში ბრძანება არ არის ის არაფრობაა ლიის.

ჯარი არმიისა დისციპლინიანი სულ სხვაა. ეს არის ბეგარა და არა კეთილი სურვილი. მოქალაქე რომ გაჰყავს სახელმწიფოს ჯარში, მოქალაქე მის კუთვნილებას შეადგენს. იგი აღარ უნდა იყვეს ისეთი თავისუფალი მოქალაქენი, როგორიც არიან დანარჩენი მოქალაქენი. არმიაში უნდა იყვეს უფროს-უმცროსობა, ბრძანება და მორჩილება. ზეპირად მორიგება იმაზედ რომ მე უფროსი ვიქნები და შენ უმცროსიო არაა კმარა; ეს დაემსგავსება ბოლშევიკურ დეკრეტს. დარჩება ქაღალდზედ და ცხოვრებაში ვერ გატარდება. რომ ჯარში განხორციელდეს უფროს-უმცროსობა და ბრძანება-მორჩილება საჭიროა ჯარის კაცი სულ სახელმწიფოს ხელში იყოს. ე. ი. ყოველ ჟამს შეეძლოს მისი დასაქმება, რისთვისაც საჭიროა ჯარის კაცის ერთი ფორმის ყოფნა (ყაზარმა, ბანაკი). ჯარში დღეს რომ ერთ მოქალაქეს უწოდებენ ოფიცერი და მეორეს სალდათი საჭიროა, რომ ოფიცერს ეგონოს რომ ის ოფიცერია და სალდათს, რომ ის სალდათია. ამისათვისაც არის რომ სხვა და სხვა სახელმწიფოში სხვა და სხვა დროა დაწესებული სამხედრო შეგარის მოსახურებლად. ზოგან 2 წელი, ზოგან სამი. ამ ხნის განმავლობაში ოფიცერი ყოველ დღე წვრთნის ჯარისკაცებს. ვარჯიშობის დროს „მარცხნივ, მარჯვნივ" თქმა ეს საჭირო არ არის ხელჩართულ ომის დროს აგრე რიგად. უმცროსი საჭიროებაც აძლევს ჯარის კაცს და ეს ყველაფერი ხდება მიტომ, რომ ამ გრძელი დროს განმავლობაში ჯარის კაცის ნების ყოფა მიაჩვიონ უფროსის ნების ყოფას, მორჩილებას. ჯარში შეიქმნება ფსიხოლოგია ბრძანებისა და მორჩილებისა და ისე წესიერად დადგება ჯარის საქმე, რომ რაც უნდა გაბოლშევიკებული დეზერტირი შეიყვანო ამ ჯარში ერთ კვირაზედ მოგირჯულებენ. ვინც სამხედრო ბეგარა მოიხადა ესა ჰქონდა სახელმძღვანელოდ და ისტორიამაც დაამტკიცა რომ ჯარი უდისციპლინოდ არის ბრბო და ამასთანავე ძალიან მავნე რადგან იარაღ ასხმულია.

რუსეთის ბოლშევიკები ცდილობენ შექმნან ეგრედ წოდებული „წითელი არმია". ამ წითელი არმიით გვაშინებენ დღეს რუსის მოხელეები და სომხის „დიპლომატები", მაგრამ როდესაც გაზეთებში წავიკითხეთ „წითელ არმიის" წესდება კომიტეტებით და „ამხანაგურ პრინციპებით" გასწორებული უნდა დავრწმუნებულიყავით რომ იგინი არმიას ვერ შექმნიან, არამედ კიდევ მოუყრიან თავს ბრბოს, შექმნიან ახალ ბრბოს შეიარაღებულს და ერთ წიხლს კიდევ ჩაჰკრავენ წამებულ რუსეთს.

ჩვენ ეროვნულ-დემოკრატები სულ ვცდილობდით დისციპლინიან ჯარის შექმნას და დიდი დევნა და შეურაცხყოფა გადავიტანეთ, მაგრამ მცირედი რამე ვერც შევქმენით დიდის დავიდარაბით. რიცხვი რომ სწორი გვითქო ჩვენი არმიის ზოგიერთი ნაწილები და რუსეთის ბოლშევიკური არმიების ჩვენი სჯობიან ამ ჟამათ ათჯერ. ჩვენ არმიას დიდი მუშაობა სჭირია; უნდა სრულიად აღმოიფხვრას ჯარის-კაცებში ყოველ ჩინაობა, ინტენდანტობა ფქვილის, წვლის და სხვა საქონლის გატანა ცეხაუზებიდან თავისუფლად გასაყიდველებს და ამისათვის საჭიროა სადი ელემენტის შეყვანა ჯარში.

სწორედ ის შეგნებული მუშები, რომელნიც მრავლად არიან წითელ გვარდიაში უნდა შევიდნენ ჯარში, ვისაც მოუწევს ბეგარა ემსახურონ სიტყვის შეუპოვრად სამშობლოს, შეუწყონ ხელი დისციპლინიან არმიის შექმნას, რომელსაც შეეძლება საქართველოს თავისუფლების დაცვა და ეს იქნება უდიდესი ლოპოლებათაგანი რევოლუციისა.

რაც შეეხება იმას, თუ ვინა სჯობიან დღეს გვარდია თუ არმია, აქ კარადა სჩანს რომ დღესაც ისევ არმია სჯობიან გვარდიას როგორც ფიზიკური ძალა. მრავალი მაგალითებია გვარდიის გამოქცევისა ბრძოლის ველიდან, სადაც ნამდვილი ბრძოლა იყო. გამოიქცნენ აწყურიდან, ამ სამი დღის წინად სანდარიდან და სხვა. ჯარიც გამორბოდა ზოგიერთ შემთხვევაში, მაგრამ ისევ თუ ვინმე უკლავდებოდა დარისხულად ეს იყო ჯარი. გვარდია კარგა მოქმედობდა და მოქმედობს შინაურ აჯანყებების წინააღმდეგ, მხოლოდ უცხო ჯარს იგი ვერ შეებმის და ეს არა ერთხელ დამტკიცდა. ჩვენ გვინდა მხოლოდ არმია დისციპლინიანი და უნდა რაც შეიძლება მალე დაიშალოს გვარდია. ეს ჭეშმარიტებაა და საწყენი არავისათვის არ არის. ეს თითონ მუშებმა უნდა გააკეთონ.

ირაკლი ამირეჯიბი.

## საქართველოს დელეგაცია ბერლინში

ბერლინი. ივნისის 11. ბერლინში ჩამოვიდა საქართველოს ახალ რესპუბლიკის წარმომადგენელი მინისტრი ჩხენკელი, რათა გერმანეთის მთავრობას წარუდგეს მოხსენებით საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ. ჩხენკელმა გერმანიის მთავრობას მიმართა წინადადებით, რომ მოწვეულ იქმნეს კონფერენცია საქართველოს წარმომადგენლებისა ერთის მხრით და მეორე თი ცენტრალ სახელმწიფოთა და მის მოკავშირეთა წარმომადგენლებისა, რათა ყოველი საკითხი განხილულ იქმნეს, რაც კი საქართველოს რესპუბლიკის მომავალს შეეხება. გერმანიის მთავრობამ მოიწონა აზრი კონფერენციის მოწვევის შესახებ და წინადადება მისცა იგი მოწვეულ იქმნეს სტამბოლში.

# ომი

## დასავლეთის ფრონტზე.

ბერლინი. ივნისის 12. (გერმანიის სამხედრო ცნობა). კრონპრინც რუპრეხტის ფრონტზე საარტილერიო ბრძოლა დროგამოშვებით ძლიერდება. მოხდა რამდენიმე შეტაკება მზვერავ რაზმების შორის. გერმანიის კრონპრინცის ფრონტზე ნუაიონის სამხრეთ-დასავლეთით მაღლობის ასაღებად ფრანგების რამდენიმე დივიზიას შეტევა უნდა დაეწყო, მაგრამ გენ. ხუტიერის ჯარმა ფრანგები დაამარცხა; მეულ ლე ფრანკ-ანტეილის ხაზზე გერმანელებმა ფრანგები უკუაქციეს და დიდათ დაიზარალეს. ბრძოლის ველზე ფრანგების ავარებული ავტომობილები ჰყრია ჩვენი ზარბაზნებით დანგრეული. ... და მელის შუა ფრანგების შეტევა მოვიგერიეთ, ბრძოლა დადამდებამდე გაგრძელდა. მდ. უაზის დასავლეთი ნაპირი მდ. მატცის შესართავთან ფრანგებმა მიატოვეს. გენ. ხუტიერის ჯარმა სულ 13.000 ტყვე წამოიყვანა. მდ. უაზის აღმოსავლეთის ნაპირი კარლეპონტის ტყეში ფრანგებმა თავის პოზიციები მიატოვეს. აქ გერმანელები ფრანგებს სდევნიან და ბრძოლით მიაღწიეს ბეილი-ტრაისილეველ-ნამფრესის ხაზს. შატო-ტიერის ჩრდილო-დასავლეთით ფრანგებს მედგარი იერიში მოჰქონდათ, მაგრამ გერმანელებმა დიდი ზარალი მიაყენეს და ყველგან უკუაქციეს.

ბერლინი. თიბათვის 13. სამხედრო ცნობა. სუვერის ქვემო ნაწილიდან მტერი გავდევნეთ. 1,500 მეტი ტყვე წამოვიყვანეთ, მტერმა შატო-ტიერის ჩრდილო-დასავლეთით რამდენჯერმე მოიტანა იერიში მაგრამ დიდი ზარალით უკან დავახევინეთ. ამ ორ დღეში მტრის 35 ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ. ჰაუპტმანმა, ბერკხელმა და ლეიტენანტ მენკჰოფმა ჰაერში 33-ჯერ გაიმარჯვეს, ობერ-ლეიტენანტმა შლეიხმა 29-ჯერ და მე-30 ჯერ, ლეიტენანტმა ფილტენსმა მე-21-ჯერ, ჰაუპტმან რეისარტმა მე-20-ჯერ.

ბერლინი. თიბათვის 13. სადამოს ცნობა. ბრძოლის ფრონტზე მდგომარეობა არ შეცვლილა. ადგილობრივი ბრძოლაა იპრის სამხრეთით ნუაიონის სამხრეთ-დასავლეთით და ეპნეს (ენი) სამხრეთით.

## იტალიის ფრონტი.

ავსტრო-უნგრეთის ცნობა.

ვენა. თიბათვის 13. ოფიციალური ცნობა. იტალიის ფრონტზე უმნიშვნელო სამხედრო მოქმედებაა. ალბანეთში ფრანგების წინ-სვლა შევაჩერეთ.

საფრანგეთის ცნობა.

პარიზი. თიბათვის 13. სამხედრო ცნობა. დილით გერმანელებმა დიდი იერიში მოიტანეს ბუსლიდან დემფრიის ჩრდილოეთ ნაწილამდის. ფრანგებს თავიანთი პოზიციები ყველგან შეინარჩუნეს და მტერსაც დიდი ზარალი მიაყენეს. სეტრისთან ორი იერიშის შემდეგ ჩვენ ავიღეთ გერმანელთა მატარეა. ათი მძიმე ზარბაზანი და ორავეთ ჯაჭვისები. დღეს დილით გერმანელებმა ეონესა და დივილლესას კოცლოტეს ტყის შუა იერიში მოიტანეს, ეს იერიში მრავალგან მოვიგერიეთ. გერმანელებმა აიღეს სოფელი ლონვერტი. მათ კორსისა და ნეტერილის დასავლეთით სრულიად უნაყოფო იყო კანის ჩრდილოეთით გერმანელები ჯერ კი შემოიჭრნენ ფრანგების ხაზში, მაგრამ უკანვე იქმნენ განდევნილნი. ფრანგებმა აქ თავიანთი პოზიციები ისევ დაიჭირეს. საკმაოდ განცხოველებული საარტილერიო ბრძოლაა ლეკორ-ვერ-მამპლეს მიდამოებში და პონტერილთან. დანარჩენ ფრონტზე ცოტა მშვიდობა ჩაიარა. (გამოსწორებულია) ფრანგებმა ბრძოლის ხაზს 16 ტონი ასაფეთქებელი მასალა დააყარეს. 25 ტონი დაუყარეს გერმანელთა მუშების კოლონის დერეს-სერმი-ორვილლერთან.

## მთავრობის წრეებში

მთავრობის სხდომაზე 12 ივნისს უკრაინის ქართველთა კომისრის ვაჩეიშვილის მოხსენება იქაურ მდგომარეობის შესახებ დაადგინეს შემდეგ სხდომაზე იქნეს მოსმენილი.

—

სამხედრო, მიწათმოქმედების და სწავლა-განათლების მინისტრებს დეე-

ველათ კოჯორი დაათვალიერონ სახაზინო მამულები, ქონების და დაწესებულებათა დასაცავად ზომების შესამუშავებლად.

—

ოსმალეთის კონფერენციაზე დასასწრებლად საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლებად არჩეულ იქმნენ: თავმჯდომარედ ევ. პ. გეგეჭკორი, წევრებად: ირ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ. რცხილაძე, გენ. ი. ოდიშელიძე და გ. ბ. გვაზავა.

—

საჭიროდ იქმნა აღიარებული ჯარში დატოვებულ იქმნენ 18—22 წლის ახალგაზრდები.

23 წლისაზე უფროსები სამხედრო მინისტრის განკარგულებით იქნებიან განთავისუფლებულნი.

—

დაადგინეს მზრუნველობის სამინისტრო გაუქმდეს, რის შესახებაც შინაგან საქმეთა მინისტრმა შესაფერი ბრძანება უნდა გამოსცეს. სამინისტროს მოსამსახურენი საერთო საფუძველზე შტატს გარეშე დარჩომილად იქნებიან გამოცხადებულნი.

—

მთავრობის სხდომაზე 13 ივნისს დამტკიცებულ იქმნა საქონლის გაცვლის დროებითი წესები.

—

შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის 124000 მანეთის გადადების საკითხი ეროვნულ საბჭოს ფინანსიურ კომისიას გადაეცა განსახილველად.

—

საქართველოს სამხედრო გზის დასაცავად საჭიროდ იქნა აღიარებული დაარსდეს მუდმივი საყარაულო რაზმი.

## ბრძოლა სადახლოსთან

(ტელეფონით)

ივნისის 12-ს საღამოთი ჩვენი ჯარისა და მაჰმადიანთა ბრბოების შუა შეტაკება მოხდა, რამაც ნამდვილი ომის სახე მიიღო. თათრის ბრბოები არ უშვებდნენ ჩვენს ჯარებს საქართველოს რესპუბლიკის საზღვრების დასაჭერად. სროლამ მთელ ღამეს გასტანა. დილით, განთიადისას, 13 ივნისს, ჩვენს ჯარებს გერმანელები მოეშველნენ. ბრძოლამ სასტიკი ხასიათი მიიღო. მაჰმადიანთა ბრბოები დამარცხდნენ და თავ-გზა არეულნი მიატოვეს არა თუ სადახლო, შემდეგი სადგურებიც კი. აღსანიშნავია, რომ ქართველი ჯარის კაცები ამ ბრძოლაში აღფრთოვანებით იბრძვიან. მათ მამაცობას განცვიფრებაში მოჰყავს გერმანელები, რომელნიც ურჩევდნენ მათ, ესე რე აშკარად ბრძოლაში გასვლას ერიდეთ, ადგილმდებარეობითაც ისარგებლეთ, თხრილები გააკეთეთ, სულ მოკლე ხანში „ცეპელინები“ მოგვივა და მაგ ბრბოს ორ დღეში გავფანტავთო. ამ ბრძოლაში დაჭრილ-დახოცილები არიან...

აჯიქაბულიდანაც დაიძრნენ ბოლშევიკები. მოსალოდნელია ახალი ბრძოლის გაჩაღება...

## ბრძოლა ბორჩალოს მაზრაში

ბორჩალოს მაზრის თათართა ბრბოებისაგან გასანთავისუფლებლად 11 ივნისს გაიგზავნა ჯარი არტილერიით და ტყვიის მფრქვევლებით. 12 ივნისს სანდართან ბრძოლა დაიწყო და მაშინვე დაზვერვის დროს მოკლულ იქმნა წითელ გვარდიელი ვ. შარაშიძე და 2 დაჭრეს. ღამე ჩამოვიდა გერმანელთა ჯარი. 13 ივნისს ჩამოვიდა 2 ეშელონი. 13 ივნისს, დილით საარტილერიო მომზადების შემდეგ შეტევა ჩვენის მხრით დაიწყო. ჩვენ მოგვიკლეს 4 და დაგვიჭრეს 20, მათგან 9 გერმანელი და 1 გერმანელიც მოჰკლეს. მტრის ზარალი ჯერ გამორკვეული არ არის, მაგრამ მნიშვნელოვანია. 13 ივნისს საღამოთი შეკეთებულ იქნა ყველა დაზიანებული და დამწვარი ხიდები და ბრძოლით ავიღეთ სად. აშაღასარალი.

## ქრონიკა

### თბილისი.

— დღეს, შუადღის 12 საათზე შესდგება საქართველოს ეროვნულ საბჭოს სხდომა. დღის წესრიგი: 1) მთავრობის დეკლარაცია, 2) მოხსენება საზავო მოლაპარაკების შესახებ. სხდომას დაესწრებიან უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები.

— **ინგლისელები ბაქოში.** სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ენზელში ინგლისელთა 1000 ჯარისკაცია თავმოყრილი. ყაზვინში ამ ჟამად ინგლისელთა დიდი ძალები სდგას. მოკლე ხანში ინგლისელთა ძლიერი რაზმი გამოიგზავნება ბაქოში, სადაც ამ ჟამად იმყოფება ინგლისელთა შტაბი. ბაქოს ბოლშევიკებმა თავისი წარმომადგენლები გაუგზავნიათ ინგლისელებთან ენზელში.

— **გზათა მიმოსვლის სამინისტრომ** განკარგულება გასცა, რომ რკინის გზის ყველა სადგურებზე, უკანასკნელების სახელები ქართულად იქნეს წარწერილი.

— **სტამბოლის კონფერენციაზე** დასასწრებლად საქართველოს და სომხეთა წარმომადგენლები 13 ივნისს ბათუმში გაემგზავრნენ, საიდანაც მეორე დღესვე სტამბოლში გავლენ. მაჰმადიანთა და ჩრდილო კავკასიის მთიელთა წარმომადგენლები ამ დღეებში გაემგზავრებიან.

— **სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის** წარმომადგენლები ამ დღეებში წარუდგნენ გერმანიის სამხედრო საელჩოს უფროსს გრაფ შულენბურგს და სთხოვეს იშუამდგომლოს საქართველოს მთავრობის წინაშე ოსეთი საქართველოს შემოუერთოს ფედერატიულ საფუძვლებზე. გრაფ შულენბურგმა უპასუხა აღძრას შესაფერი შუამდგომლობა საქართველოს მთავრობასთან.

— **საზღვრების გადმოლახვა.** სომხეთა ეროვნულ საბჭოს ბაკურიანიდან ატყობინებენ: 12 ივნისს ახალქალაქის მაზრის მაჰმადიანთა ბრბოებმა სახელმწიფო საზღვარი გადმოლახეს და გადმოსახლებულებს თავს დაესხნენ. მათ წინააღმდეგობა გაუწიეს სოფ. თამელის მცხოვრებლებმა. თათრებს ზარბაზნები და ტყვიისმფრქვევლები ჰქონიათ თან.

— **ოქრო-ვერცხლის შემომწირველთა საყურადღებოდ.** ჩვენს რედაქციაში მოდიან ოქრო-ვერცხლის შემომწირველნი საქართველოს ხაზინისთვის. რედაქცია საყოველთაოდ აცხადებს, რომ მას არ შეუძლიან ოქრო-ვერცხლის აღება, ვინაიდან მას არ მოეპოვება ამისთვის საჭირო ორგანიზაცია— მისხლობილი სასწორი, ნივთების ამწერნი და სხვ. შემწირველებმა უნდა მიჰმართონ ფინანსთა სამინისტროს.

— **რუსთა ეროვნულმა საბჭომ სთხოვა** საქართველოს ეროვნულ საბჭოს რუსეთში მიმავალი რუსი ლტოლვილები დაიცვას ათასგვარ შევიწროებისა, თვითნებითი ჩხრეკისაგან და თავდასხმისაგან და საერთოდ ზომები მიიღოს საქართველოს სამხედრო გზის დაცვის გასაუმჯობესებლად.

— **რადიო სადგურის ასაგებად** სამხედრო მინისტრის განკარგულებით 110000 მანეთი გადაიდო.

— **ნაფიც ვექილთა კრება.** კვირას, 16 ამა ივნისის სასამართლო პალატის შენობაში, დანიშნულია ნაფიც ვექილთა და მათ თანაშემწეთა საზოგადო კრება, ნაფიცი ვექილის არწრუნის 50 წლის იუბილეს სადღესასწაულოთ და სასამართლოს გარდაქმნის საკითხების განსახილველად.

— **ქუთაისის მე-3 გიმნაზია.** მთავრობის განკარგულებით ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი სემინარიულ კლასებით ქუთაისის მე-3 ვაჟთა გიმნაზიად გადაკეთდა.

— **თანამდებობიდან გადადგა** საგარეო საქმეთა სამინისტროს კანცელარიის გამგე ვ. თუმანიშვილი. მოვალეობის შესრულება მის თანაშემწეს ახვლედიანს მიენდო.

— **ქართულ უნივერსიტეტთან შე**სდგა სატერმინოლოგიო სექცია, რომელმაც უკვე დაიწყო პრაქტიკული მუშაობა პროფ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით.

— **მწერალთა კავშირის კაბარე.** დღეს, საღამოს ძმურ ნუკრიში გაიმართება მწერალთა კავშირის დიდი კაბარე. ყველა ძველ და ახალგაზრდა მწერალთა მონაწილეობით. იქნება მუსიკა, სიმღერა, შარჟების ჩამოფენა და და აუქციონი. დასაწყისი საღ. 9 ს.

— **ს. მარტყოფში** მოჰკლეს ესტატე ქრიკიშვილი. მკვლელობა ჰბრალდება მის ცოლის ეფემიას და მის საყვარელს—ია მჭედლიშვილს.

## წერილი გენ. გაბაშვილის

### თანამდებობიდან გადადგომის შესახებ

## ბრძოლა აწყურთან.

23 მაისს დილით ათ საათზე დაიწყო შეტევა მთელ აწყურის ფრონტზე. ბრძანება იყო აწყური დაგვეჭირა. აწყურის ფრონტი ორ ნაწილად იყოფ: მარცხენა და მარჯვენა ნაწილებათ.

მარჯვენა იწყება მტკვრის მარცხენა ნაპირიდგან და უჭირავს ფრონტი დაახლოვებით ოთხი ვერსის მანძილზე. იგი შესდგება მთლად ჰუსართა მეორე პოლკისაგან და ქვაბის ხეველთა და ქვიშხეთელების წითელ გვარდიელთა რაზმებისაგან.

მარჯვენა ფრონტზე ათ საათზე დაიწყო სროლა არტილერიამ. დაიძრა ჰუსარის პოლკი, რომელსაც ეჭირა მარცხენა ფრთა და დაიჭირა ზეგრეთის წინ მდებარე მაღლობები, მიჰყვნენ ქვაბისხეველები და ქვიშხეთელები, რომლებიც მემარჯვენე ფრთას შეადგენდნენ. მიდიოდნენ გაშლილი მწკრივით. მათ მისდევდა შოსეს გზით ტყვიის მფრქვეველთა რაზმი. პოლკი მიდიოდა მწყობრად, მტერი თავის სანგრებიდგან განუწყვეტლივ ისროდა. მიუხედავად ამისა ჰუსარების პოლკი დამშვიდებით განაგრძობდა წინსვლას და სამაგალითო წესით ემორჩილებოდა ბრძანებას. ნაშუადღევს ხუთ საათზე პოლკიც და გვარდიელებიც მიუახლოვდნენ აწყურის სიმაღლეებს ნახევარ ვერსის მანძილზე. ზარბაზნების ყუმბარები ხვდებოდა მტრის სანგრებს, თხრილებიდგან ამორბოდა მტერი და ჯგუფ-ჯგუფ ათი-თხუთმეტი კაცი გარბოდა უკან, ჩვენი ტყვიისმფრქვეველები, რომლებიც ახლა წინ წაიწიეს, მარჯვედ ახვედრებდნენ გაქცეულებს და ჰხოცავდნენ. მტრის ფრონტი უკვე შეერყა, მისი ცენტრი გაირღვა. ამ დროს უცებ ჩვენებმა მიიღეს ბრძანება შეჩერებულიყვნენ და წესიერად დაეხიათ უკან. მიზეზი ის იყო, რომ ქვიშხეთელების რაზმმა ისურვა პირველ გამოიქცა, მტერმა რა დაინახა უკან გამოქცეული ჩვენი მარჯვენა ფრთა, შემოუტია მას, ფეხდაფეხ მოჰყვა და მთელ მარჯვენა ფრონტს ზურგიდგან დაემუქრა. ამ დროს შეშინდა და მეორე პოლკმა და ქვაბისხეველებმა უკან დაიხიეს და ძველი პოზიციები დაიჭირეს.

ქვიშხეთელებმა ერთი კაცი დაჰკარგეს ბრძოლაში, ეს მოვლენა ღალატს დააბრალეს და მაშინათვე გამოიქცნენ. მათგან ოთხმოცდა ერთი კაცი ს. დვირში დაიჭირა ჩვენმა ჯარმა და იარაღი აჰყარა.

მარცხენა შემბრძოლი ნაწილი იწყებოდა მტკვრის მარჯვენა ნაპირიდგან. ხაზი მისდევს ს. სკვერიკეს, რომელიც ჩვენს ხელშია, ს. დგვარისა და ძილის სერებს შუა და გადის თავის თავის, ხოლო ამის თავის და კოდიანის სერებზე. ადგილები სულ მთა გორიანია ხშირი ნაძვის და ფიჭვის ტყით შემოსილი. მარჯვენა ფრთა და ცენტრი ეჭირათ ბორჯომის, გორის და სხვ. წითელ გვარდიის რაზმებს, მარცხენა ფრთა პოლკოვნიკ გედევანიშვილის პარტიზანულ რაზმს და შემდეგ სერები კოდიანიდის ველურ დივიზიას, რომელიც ს.ს. დგვარისა, საკირისა, ტაბერისის და სხვა მცხოვრებლებისაგან შესდგება. ფრონტი გაშლილია თითქმის შვიდ ვერსზე და ბევრით სჭარბობს სიგრძით და ხალხის სიმრავლითაც მარჯვენა ფრონტს. ამ მარცხენა ნაწილს მეთაურობდა ბრძოლის დროს პოდპოლკ. რამაზოვი. შეტევა დაიწყო თერთმეტ საათზე. დილით ავანგარდი წავიდა წინ და თხრილები დაიზვერა. შემდეგ ჩაიტანეს ტყვიის მფრქვეველები. არტილერიამ დაიწყო მოქმედება და გადავიდნენ იერიშზე. პირველში აქაც მთელი ფრონტით კარგად იბრძოდნენ, მაგრამ ნაშუადღევის ხუთ საათზე ბორჯომის, ხაშურის და გორის რაზმები, რომლებმაც მტრის პირველი თხრილები დაიჭირეს და აწყურის წინ მდებარე სერებს მიუახლოვდნენ, შეჩერდნენ. პარტიზანული რაზმი გედევანიშვილისა კი გაიჭრა წინ ორი ვერსით, წაართვა მტერს რამდენიმე წყება თხრილებისა, გარეკა მტერი და და პირა თილის სერები, რომელიც აწყურს ზედ დასცქერის. წითელი გვარდია ვერ ეხმარებოდა, ველური დივიზიაც, რომელიც მარცხენა ფრთას მტკიცედ სუსტად უმაგრებდა, ვერ ეხმარა. მტერმა ისარგებლა ამით, მოიკრიბა ძალები და შემოუბრუნდა პარტიზანებს. მტერს თანდათან ძალა მოემატა. ისინი უკვე ერთი ხუთად მეტი იყვნენ, მათ გაარღვიეს გვარდიელების და ველური დივიზიის რაზმები და მოიმწყვდიეს შუაში პარტიზანები. პარტიზანები კვლავ განაგრძობდნენ ბრძოლას და მათი დამხმარე კი არავინ იყო. დაეცა ბატალიონის უფროსი მელუა, მოკლეს კიდევ ერთი აფიცერი და სამი რაზმელი, დაიჭირა თხუთმეტამდის კაცი და მტერს კი ახალი ძალა კიდევ ემატებოდა. პოლკ. გედევანიშვილმა დაინახა, რომ მტერს შეეძლო სულაც გზა მოეჭრა და მთლად შეემუსრა რაზმი, ამიტომ მაშინვე მისცა ნიშანი უკან დახევისა და აქ დაიწყო ნამდვილი გმირული ბრძოლა. ტყვიისმფრქვეველების რაზმი ოთხი ტყვიისმფრქვეველით მუსრს აძლევდა მტერს, მაგრამ მტერმა შემოუარა და შუაში მოიმწყვდია. რაზმი არ შედრკა, შემოუტია გაარღვია მტერი და გამოიტანა ოთხივე ტყვიისმფრქვეველი. დარჩა უკან რამდენიმე ლენტი ტყვიებით, გაიჭრა ერთი რაზმელი და გამოიტანა. პოლკ. გედევანიშვილი თავგამეტებით ბრუნავდა შუა ბრძოლაში, შეუწყვეტლივ ამხნევებდა პარტიზანებს და აძლევდა განკარგულებას. რაზმელები ეხვეწებოდნენ, ნუ აგდებ შენ თავს საფრთხეშიო, მაგრამ იგი ერთ წამსაც არ მოშორებია გვერდიდგან. როდესაც მოახსენეს ძალიან ავზიანდით და ბატალიონის უფროსიც მოგვიკლესო, მკაცრად უპასუხა, მაშ როგორ გნებავთ, იმიტომ მოვედით, რომ აქ მოვკვდარიყავით, განაგრძეთ ბრძოლათ.

ბევრმა სხვამ ისახელა თავი. ლევან ქუთელაშვილი პირველი ავარდა მტრის სანგრებზე, სამსონ დადიანი, სტუდენტი და ფერმკრთალი ინტელიგენტი, მედგრად იბრძოდა.

პარტიზანებმა დაადგინეს დააჯილდოვონ პოლკ. გედევანიშვილი ჯარის კაცის ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით, რაც უმაღლესი ჯილდოა აფიცრისათვის, რამდენიმე პარტიზანიც წარდგენილი არიან ჯილდოზე.

ღამით პარტიზანები ისევ ძველ პოზიციებზე გადავიდნენ. მხოლოდ 25 მაისს მტერმა რამდენიმე ყუმბარის სროლით აიძულა გვარდიელებიც დაეხიათ უკან.

ზარალი 23 მაისის ბრძოლისა შემდეგია: პარტიზანებს, რომლებიც იყვნენ 160 კაცი დაეკარგათ მოკლული 7 დაჭრილი 13. ჰუსარების პოლკს ვარაუდით ორას კაცამდის—ერთი მოკლულ და სამი დაჭრეს, წ. გვარდიელებს კი რიცხვით ათას-ხუთასამდე— მოუკლეს 4 და დაუჭრეს 21 კაცი.

მტერს გაცილებით მეტი ზარალი მოუვიდა.

წითელი გვარდია ვერ წარმოადგენს ნამდვილ სამხედრო მასალას. მათში დამშლელი და გამხრწნელი სული ისევ ბუდობს, საკმარისია ცოტა დაბრკოლება ნახონ ან მცირე ზარალი, რომ თავზარდაცემული გარბიან ყვირილით —გვღალატეს, დაგვღუპესო.

ოცდა სამ მაისის ბრძოლიდგან დიდძალი ხალხი გაიქცა. მიდიოდნენ ტყე ტყე, უგზო უკვლოდ, სამ-სამი ხუთ-ხუთი თოფებით, პატრონებით სავსე აბგებით, ზოგ მათგანს ხელით სასროლი ყუმბარებიც მიჰქონდათ. ხან ერთ სოფელს მიაწყდებოდნენ ბორჯომის ხეობისას ხან მეორეს. ბევრი მათგანი დაიჭირეს. ქვიშხეთელების რაზმიდგან ას სამოცი კაცი დაიჭირეს და იარაღი აჰყარეს. ერთ ალაგას ცხრა კაცი მიიპარებოდა გაშლილი მწკრივით. როდესაც ისინი შეაჩერეს, მათ სროლით გასცეს პასუხი და გაიქცნენ. თავის სოფლებში მარჯვედ არიან ქალების და უმანკო ბავშვების ხოცვაში, ძარცვაში და ცეცხლის წაკიდებაში და მტერთან კი პირველსავე შეტაკებაში გარბიან. ბრძანებას ყოყმანით და უხალისოდ ასრულებენ. 31 მაისს მარცხენა ფრონტის შტაბის შორი ახლოს გვარდიელებს გაემართათ მიტინგი, წავიდეთ თუ არა პოზიციებზედ. შტაბიდგან უცქეროდნენ პარტიზანთა აფიცრები და ჯავრით გული უსკდებოდათ. ეს მე თვით ვნახე ჩემის თვალით. 2 თიბათვეს იმავე ფრონტზე ცენტრში მდგარმა გვარდიელებს რამდენი ხვეწნა მოუნდათ, რომ ცოტა წინ წაეწიათ, რასაც სრულებით არ სჭირდებოდა ბრძოლა. საღამოთი 2 თიბათვეს ორასამდის კაცმა მოითხოვა დასვენება და ... იყვნენ დასთანხმდებოდნენ, წამოვიდნენ და გაემართნენ ქვეით სოფლებისაკენ, მაგრამ ... იყო შეაჩერეს და შტაბთან ახლო ს. № დააბინავეს. და ეს მაშინ როდესაც მეორე დღისათვის ემზადებოდნენ შეტევისათვის ფრონტის შესასწორებლად.

სამწუხარო იყო 23 მაისის ბრძოლის შედეგი, მაგრამ ერთი დადებითი მხარე კი ჰქონდა. ამ ბრძოლამ სახელი გაუთქვა პოლკს და პარტიზანულ რაზმს, ბინძური ეჭვები, რომ ისინი უღალატებდნენ და თათრებზე გაჰყიდდნენ, სრულებით გაიფანტა და ეხლა ხალხიც და გვარდიელებიც ერთხმად ამბობენ, რომ მართლა ნამდვილი ვაჟკაცები ყოფილან და მტერთან ერთად სიკვდილს არ გაექცევიანო.

მაგრამ მიუხედავად ამისა გვარდიელებით ბრძოლა შეუძლებელია. გვარდიელები არიან ისე ხელად მოკრებილები. ვინც მოხვდათ მოუსვეს ხელი და გამორეკეს ფრონტზე. ბევრი, ყმაწვილი, კოჭლი, სნეული, ვაჭარი თუ ხელოსანი. უმეტეს ამათგანს თოფი ხელში არ აუღია და ესენი უფრო აბნევენ საქმეს და ბრძოლის დროს პანიკა შეაქვთ ჯარში. ორი ყვირილით ფეხის სროლის დროს გულები შეუღონდათ და ამხანაგებს მოუხდათ მათი მობრუნება. სრულებით სხვა სახეს წარმოადგენს პარტიზანთა რაზმი, რომელიც ეხლა ორას ორმოცდა ათ კაცს აღემატება. რაზმი შედგენილია მოხალისეთაგან, არიან შიგ ნამსახური ჯარის კაცებიც, მომეტებული ნაწილი შეგნებული, დაიან ბევრია მოსწავლე ახალგაზრდობა. ყველა ესენი საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდგან წამოსულან სამშობლოს დასაცავად, რომლისთვისაც მზათ არიან ყოველ ჟამს თავი შესწირონ. რაზმში სამხედრო დისციპლინა არის. რაზმელები დაუზარებლად ასრულებენ მის ბრძანებებს, მაგრამ დამოკიდებულობა სადა და მეგობრულია. თუ გვარდიელები გახრწნილნი არიან ბოლშევიკური ზნებით ზოგიერთი უფროსი აფიცრებიც ვერ იჩენენ საჭირო თაოსნობას, რადგან ისინიც შეპყრობილნი არიან შიშით სარევოლუციო ორგანიზაციებისადმი და საკმარისია მათ წინ გაჩნდეს რომელიმე ამხანაგი, რომ ისინი თავ-გზას ჰკარგავენ და იბნევიან.

გ. თ.

## თეატრი და ხელოვნება

### ქართული ეროვნული გუნდი

რას წარმოადგენს ეროვნული გუნდი და რა მიზანი აქვს მას. პირველმა ეროვნულმა კონცერტმა დაგვანახვა თუ რისთვის შეიქმნა ეს გუნდი და გვესაჭიროება მისი არსებობა თუ არა?

როდესაც ომმა მოიცვა ჩვენი სამშობლო, ინგრევა ყველაფერი, თვით ჩვენ ქვეყანას განადგურებას უქადიან, ამასთანავე სამშობლოს მოყვარული შვილი მოვალეა იზრუნოს ეროვნული ცხოვრების ღონძიებისათვის. ჩვენ დიდი სიმდიდრის მქონე ვართ მუსიკალურის მხრივ. მეტად ფართო ასპარეზი გვიდევს თვალწინ როგორც სასულიერო, ისე თვით საერო სიმღერა-გალობისა. ვით მარგალიტი გაფანტულია აქა-იქ. ზეპირ გადმოცემით გვაქვს შენახული სხვადასხვა ჰანგები. იხოცებიან საუკეთესო სიმღერა-გალობის მცოდნე პირნი. დღითი-დღე იმარხება ჩვენი ეროვნული მუსიკა და იხრწნება იგი.

ჩვენი მოვალეობაა მოვაგროვოთ, შევამუშაოთ, დავწეროთ და განვავითაროთ იგი არა სიტყვით, არამედ საქმით.

ჩვენ უნდა ვეცადოთ პარტიის გარეშე ვიყოთ. ხელოვნება არის წმიდა ტაძარი, სადაც ყველა, განურჩევლად რწმენისა, ან მიმართულებისა თავს იყრის და ემსახურება უმაღლეს ხელოვნების მიზანს.

ჩვენ უნდა ამოვარჩიოთ უკეთესი ნაწარმოები მსოფლიო მუსიკალური შემოქმედებისა, გადმოვთარგმნოთ ოპერები, შევისწავლოთ და ამასთანავე ჩვენ ეროვნულ მუსიკას მივცეთ ჩვენი ელფერი, შინაარსი, თვისება და ხასიათი. ფორმა კი მივცეთ და შევამუშაოთ ეროვნული ჰარმონიით.

თუ სხვა ერებმა განავითარეს და წარმატება მისცეს თავის მუსიკას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ერს უფრო ფართო ვითარების მომავალი აქვს.

იმ დროს, როდესაც კულტურით მდიდარი ევროპა კულმინაციურ წერტილამდის არის მისული და თავის ჰარმონიის გასაცოცხლებლად ძლიერ ოსტატის მუსიკას იღებს თემათ და ამით კომპოზიტორს შეაქვს ორიგინალური ეფექტი და ახალ სიოს დაჰბერავს თავის თხზულებას.—ამ მხრივ, რა თქმა უნდა, ჩვენი მუსიკა წარმოადგენს დიდ შეუმუშავებელ მასალას და მოიპოვებს უსაზღვრო ინტერესს.

აი, ამაში გამოიხატება ჩვენი კომპოზიტორების მიზანი, ემსახურონ ეროვნულ მუსიკის აღორძინებას. მართალია, სწავლა-განათლება რუსეთში და ევროპაში მიუღიათ, ევროპიულად აღზრდილან, მათ ზნე-ჩვეულებას მისჩვევიან, ფიქრობენ მათ ენაზედ, მაგრამ ყოველივე ეს უნდა შეიცვალოს ეროვნულ ნიადაგზედ.

ჩვენ არ უარვყოფთ ევროპიულ მუსიკას. ჩვენ გვაშუქებს, სულს გვიდგამს ბახი, მოცარტი, ბეტჰოვენი, ვაგნერი, ჩაიკოვსკი, სკრიაბინი და სხვა. კულტურის ლამპარია შექსპირი, შილლერი, დანტე, გოეტე და ბევრი ამისთანა გენიოსი, რომელნიც ჩვენს სიცოცხლეს აფაქიზებენ, გვიმსუბუქებენ და უმაღლეს ვითარებას გვიანდერძებენ. ესენი გვაძლევენ საუკეთესო საჩუქს—ესენი გვზრდიან და მიგვითითებენ საუკეთო პატრიოტულ და იდეალურ მომავლისათვის. მაგრამ, ამასთანავე შოთა რუსთაველი კი ჩვენი სიამაყეა, ჩვენი ღვიძლი მამა და მსოფლიო ფილოსოფიის მატარებელი ჩვენი მაჯისცემითაა გამსჭვალული.

გვრწამს სხვის ლამპარი—ვსტკბებით მათ შუქით, მაგრამ ჩვენ ჩვენიც უნდა გვქონდეს. ჩვენ უნდა ვიფიქროთ და ვიცხოვროთ როგორც ქართველებმა. ვიქნებით ევროპაში თუ აზიაში ჩვენ არ უნდა დავკარგოთ ჩვენი თვისება.

დეე, ჩვენმა კომპოზიტორებმა შეისწავლონ ევროპიული მუსიკა, მის ფორმა-ვითარება, მაგრამ იგი გამომხატველი უნდა იყოს ჩვენი ერის სულის-კვეთებისა; მისი ფიქრი, ფანტაზია უნდა იყოს ქართული.

გაუმარჯოს ქართველს, გაუმარჯოს ქართულ ნიჭს.

რა არის ქართული ეროვნული გუნდი და როგორ უნდა შევხვდეთ მის კონცერტს? თქმა არ უნდა, მომღერალთა გუნდს ბევრი ნაკლი აქვს: უპირველესად, უნდა აღვნიშნოთ მის მცირე რიცხოვანება, ხმის შეუმუშავებლობა, მუსიკალური გაუნათლებლობა მოუმზადებლობა. გუნდს აკლია ანსამბლი, ე. ი. შეხავება. ეს არის უმთავრესი ნაკლი. კრიტიკას შეუძლიან მიწასთან გაასწოროს ეროვნული გუნდი თავის კონცერტით, მაგრამ ჩვენ უნდა ყურადღება მივაქციოთ არა გარეგნულ პირობებს, არამედ მის შინაარს. ქართ. სამხედრო კავშირმა პირველი სერიოზული ნაბიჯი გადადგა ამ მხრივ. დაარსა ქალ-ვაჟთა მომღერალთა გუნდი იმ მოსაზრებით, რომ ქართული მუსიკა შეაგროვოს, დააწერინოს და ხელოვნურად შეასრულოს, გააცნოს ჩვენ საზოგადოებას ჩვენი სიმდიდრე თუ სიღარიბე—მუსიკალური ვოკალური (სასიმღერო) ლიტერატურა. ჩვენში ბევრი მომღერალთა გუნდი ყოფილა, არის კიდევაც, მაგრამ ყველას უცაბედი—დროებითი ხასიათი აქვს. ამას გარდა, დროებითი გუნდი რაც უნდა ნიჭიერი და კარგი იყოს თუ იგი სისტემატურად არა მუშაობს, რეპერტუარს არ ახლებს იგი მოსაწყენია და უსარგებლო. ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი აპარატი, რომელიც გამოხატავს ერის კულტურას, შეამუშავებს და გამოაქვეყნებს ჩვენს სიმდიდრეს.

სამხედრო კავშირის მომღერალთა გუნდი ორი თვეა რაც არსებობს. ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა სისტემატურად მეცადინობს. სწავლობს როგორც სიმღერას აგრეთვე მუსიკის თეორიას და სოლფეჯიოს. ამასთანავე გუნდი იღებს ყოველ თვიურ ჯამაგირს. ეს არის აუცილებელი და სერიოზული საძირკველი, რომელზედაც უნდა აშენდეს ის წმინდა ხელოვნების ტაძარი, რომელიც ჩვენ იდეალათა გვაქვს დასახული. ან ახალი ეროვნული გუნდი შესდგეს უკეთეს პირობებით და ემსახუროს ერს ან ხელი უნდა შეუწყოთ სამხედრო კავშირს ამ დიად სასარგებლო და აუცილებელ ღვაწლში.

ამასთანავე არ შეგვიძლიან უყურადღებოთ დავსტოვოთ მეტად შესამჩნევი მოვლენა: პირველ ეროვნულ კონცერტზედ დაესწრნენ უწმინდესი კათალიკოსი მთელ საქართველოსი კირიონ მე-II, რომლის მობრძანებაზედაც საზოგადოებამ ფეხზედ ადგომით პატივი სცა, გუნდმა განსაკუთრებით პატივი სცა „ტონ დესპოტინის“ ასრულებით. მარცხენა კრესლოში ბრძანდებოდა მაღალ ყოვლად უსამღვდელ. მიტროპოლიტი ლეონიდი. პირველ რიგში შეწყვეტილნი იყვნენ ეროვნულ საბჭოდან. კონცერტს აუარებელი საზოგადოება დაესწრო. ზოგი პროვინციიდანაც ჩამოსულიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ბილეთები არ იშოვნებოდა და ნახევარზედ მეტი უკან დაბრუნდა. საზოგადოების თხოვნით 30 ივნის, კვირას დილით ვიმეორებთ ეროვნულ კონცერტს სახელმწიფო თეატრში.

ამით აღვნიშნავ ქართულ პრესის გულგრილობას ამისთანა მნიშვნელოვან და ისტორიულ საქმის წინაშე.

ილიკო აბაშიძე.

## ღია წერილი
### როსტომ დიმიტრის-ძეს ყაზბეგს

პატივცემულო როსტომ დიმიტრის ძევ! როგორც ზოგიერთმა სამედო პირებმა გადმომცეს, თქვენს ჩვენს მთავრობის ზოგიერთ წრეებში და ორგანიზაციებში გაგიკეთებიათ მოხსენება ჩემი რაზმისა და ბოლშევიკების შეტაკების შესახებ და ის აზრი გამოგითქვამს, თითქოს ბოლშევიკებს, სრულებით არა ჰქონდათ ფიქრი საქართველოსაკენ წამოსვლისა და არც ფეხი შემოუდგამთ ჩვენს მიწა-წყალზე. ხოლო რაც მოხდა და რამაც გამოიწვია ბრძოლა მათთან, ეს ჩემი და ჩემი რაზმის მიერ იყო გამოწვეული და ყოველივე რაც გაზეთებში იყო მოთავსებული სიცრუე იყოს. ერთის სიტყვით ყოვლად უმიზეზოდ და უბრალოდ იქმნენ ისინი დახოცილ-დაჭრილნი ჩვენის მხრივ. ამისათვის მოვითხოვ თქვენგან პასუხს შემდეგ კითხვებზედ:

1) ეკირათ თუ არა ბოლშევიკებს დარიალის ხიდი, რომელიც ჩვენს ტერიტორიაზე არის და ჩვენ გვეკუთვნის და თუ ჰო, რომელი უფლების ძალით?

2) 28 მაისს, დილით, როდესაც ჩვენი დამზვერავები მივიდა ჩვენ დარიალის ხიდთან, აგვიტეხეს თუ არა მათ ჩვენ სროლა და თუ კი, რას მოასწავებდა, ეს სროლა მათთის მხრივ?

3) 30—მაისს, საღამოს, როდესაც ჩვენ მოვსთხოვეთ მათ სროლა შეეწყვიტათ და არ გაემწვავებინათ მდგომარეობა ჩვენსა და მათ შორის, მათ პირობა მოგვცეს სროლას არ გავაგრძელებთო და მეორე დილით ისარგებლეს ამ დროებითი ზავით და ტყვიისმფრქვეველი გამოიტანეს ხიდის აქეთა მხარეს და დასდგეს. რას ნიშნავს ეს თუ არა სხვისი უფლების შეზღუდვას და მიწაწყლის დაპყრობა!?

4) იცით თუ არა თქვენ, რომ პირველ მაისს დილით, როდესაც თითონ თქვენმა მეზობლებმა სოფ. სტეფანწმინდის მცხოვრებლებმა ცხადათ მოითმინეს ბოლშევიკების დარიალში შემოჭრა მოვლილი გაუკეთეს მათ, შუაში მოიმწყვდიეს და რომ სისხლის ღვრა თავიდან აეშორებინათ გაუგზავნეს მათ გასაფრთხილებლად სოფ. სნოს კომისარი ალექსი შალური და გადასცეს ხეობა გაეთავისუფლებინათ უსისხლოთ და უკან წასულიყვნენ, მაგრამ ბოლშევიკებმა სიცილით უპასუხეს და ვერც კი მოასწრო ჩვენთან დაბრუნება რომ მათ სროლა აგვიტეხეს. რას უწოდებთ თქვენ ასეთ მათს მოქმედებას?

5) ორ მაისს, როდესაც თქვენ თითონ ბოლშევიკების დელეგაციასთან კაზბეგიდან ერთად მობრძანდით, მოლაპარაკების დროს გახსოვსთ რა სთქვა მათ რაზმის უფროსმა ტომ-შვეცკიმ? თუ არ გახსოვთ მე მოგაგონებთ, აი რა: »Мостъ мы ни въ коемъ случаѣ не можемъ уступить, такъ какъ онъ лучшій стратегическій пунктъ для насъ.« რა უნდა უწოდოთ ასეთ მათს საქციელს?

6) თქვენ ბოლშევიკების დელეგაციაში ვისი სახელით ბრძანდებოდით და ვისი მონდობილებით?

7) ვინ დაგავალათ თქვენ, როდესაც იმ დღეს გამოაცხადეთ: „თუ თქვენ ხიდს არ დასთმობთ, მე აღარ შემიძლია კაზბეგში დაბრუნება“?

8) ვისი დავალებით უთმობდით ბოლშევიკებს ხიდს, განა მარტო მისთვის, რომ კაზბეგში თავისუფლად დაბრუნებულიყავით თქვენი პირადი კეთილ-დღეობისათვის?

უკაცრავად თქვენთან, თუ მე თქვენ პირად ინტერესებს სამშობლოს მიწა-წყალი არ ვანაცვალე. მოვითხოვ რომ თქვენ ყველა ამ კითხვებზედ პასუხი მომცეთ ერთი კვირის განმავლობაში, დანარჩენი შემდეგ.

პოდპოლკოვნიკი აგ. აბხაძე.


## ქართული კლუბი
ქართული ოპერეტა. დღეს, 15 ივნისს 1918-წ.
ძველი დასის მიერ წარმოდგენილი იქნება [illegible] ცნობილი ოპერეტა
### ეს არ იყოს, ის იყოს
ანუ
### მაშტი იბადი
ოპერეტა 3 მოქ., გაჯიბეკოვისა, თარგ. ვანო გიგოშვილისა
სარვარი მ. ჯანოევი. მაშტი იბადი, ი. რევაზოვი, გულნაზი. მ. გიგოშვილისა, სანამა მარგველაშვილი, რუსტამ-ბეგი კ. ჩიგუნავა, კოჩი ასკარი ს. სულთანოვი და სხვა.
დასაწყისი საღამოს 8 ნახევარ საათზე. გამგე მ. გიგოშვილი
ბილეთები იყიდება ყოველ დღე კასაში 1—1654—1

კვირას, 16 ივნისს, დილის 10 საათზედ დანიშნულია „ახალ საკრებულო“-ს წევრთა საზოგადო
## წლიური კრება
განსახილველი საგნები: 1. 1917 წ. ანგარიში. 2. სარევიზიო კომისიის მოხსენება. 3. გამასახლისთა საბჭოს არჩევნები. 4. სარევიზიო კომისიის წევრთა, კლუბის წევრთა და კანდიდატთა არჩევნები. 4—3

ცენტრალი კომიტეტი ქართულ
## სამხედრო კავშირისა
აცხადებს ქართულ ჰიმნის მუსიკის კონკურსს შემდეგის პირობებით:
I. თავისუფალი ფორმა ორ ან სამ ნაწილებისაგან.
II. ხალხური.
III. მკაფიო და მოკლე.
IV. ჰიმნი უნდა დაიწეროს მხოლოდ აკაპელა (სასიმღერო).
საუკეთესო ნაწარმოებს მიეცემა პრემიად 1000 მან. და 75 პროც. კონცერტის სუფთა შემოსავლიდან.
ჰიმნებს შეასრულებს ქ. ს. კავშირის ქალ-ვაჟ მომღერალთა გუნდი. კომპოზიტორებმა ორიგინალი უნდა წარმოადგინონ 1 ივლისამდის (ახალი სტილით). მისამართი: ქ. თბილისი. ქართული კლუბი, სამხედრო კავშირი, მომღერალთა გუნდის გამგეს. (5—964—2)

## საქართველოს ეროვ. დემოკ. პარტიის [illegible] რაიონის ბიურო
ამით აცხადებს, რომ ცნობების მიღება და პარტიაში ახალ წევრების ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 10—2 და საღამოს 5—7 საათამდის. ბიურო იმყოფება ტურგენევის ქ., № 4 მესამე მომრიგებელ მოსამართლის დარბაზში.

## სახელმწიფო თეატრი
კვირას, 16 ივნისს, ქართველ მსახიობთა კავშირი, დასაჩუქრებულ მსახიობის
ვიქტორ გამყრელიძის
30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად გამართავს
### სადღესასწაულო წარმოდგენას
წარმოდგენილი იქნება
I
### პატარა კახი
აკაკისა. მესამე მოქმედება.
II
### რაც გინახავს, ვეღარ ნახავ
ა. ცაგარელისა. მეორე მოქმ.
III
### არიფ დარია
გ. ჭუხიასი. ვოდ. 1 მოქმედებად.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
ბილეთები იყიდება „ძმურ ნუგეშში“ და სახელმწიფო თეატრის კასაში.

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქალაქ თბილისის
## ორგანიზაციის გამგეობისაგან
ქ. თბილისის კომიტეტის დადგენილებით მოხდა პარტიულ საქმის რეორგანიზაცია ქალაქში. ნაცვლად წინანდელის დანაწილებისა უბნებად, რომელიც დღეიდან გაუქმებულად ითვლება, ქ. თბილისი დანაწილებულია ოთხ რაიონად სახელდობრ:
I რაიონი—მტკვრის ზევით მხარე საბურთალოდან და ვაკედან დაწყებული მოსკოვის ქუჩამდე და ვერის დაღმართამდე.
II რაიონი—მტკვრის ზევით მხარის დანარჩენი ნაწილი—მთაწმინდა, სოლოლაკი და სხვ.
III რაიონი—მტკვრის ქვევით მხარე ვორონცოვის ხიდიდან მოყოლებული დიდუბემდე და ნაძალადევამდე.
IV რაიონი—მტკვრის ქვევით მხარე ვორონცოვის ხიდიდან ორთაჭალამდე.
თბილისის მცხოვრებ პარტიის წევრებს ეძლევათ დაუყოვნებლივ მიიღონ სათანადო რაიონის კომიტეტებისაგან საწევრო ბილეთები, ურომლისოდაც პარტიულ კრებებზე დასწრება აეკრძალებათ.
თბილისის კომიტეტის ბიურო იმყოფება ცენტრ. კომიტეტის ბინაზე, (სასახლის ქუჩა, № 5, ტელეფ. 15—73).
ბიურო ღიაა ყოველ დღე, 10—დ 2 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა
### ნ. ლ. ტურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 შუადღ. და 4—5 საღ. შინაგანი, ბავშვების, საბებიო და საშვილოსნო სნეულებანი. ნიკოლაევის ქუჩა № 7, [illegible] აფთიაქის გვერდზე.
2 თვ.—1658.

ექიმი,
### გ. ო. ხანდუკელი
ასისტენტი მოსკოვის სანატორიუმ-სამკურნალო ექ. ნ. მ. კიშკინის იღებს შინაგან და ნერვების ავადმყოფთ (პსიხოტერაპით) სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკევობით ნაშუადღევის 3 ს.—5 საათამდე. ოლღას ქუჩა № 22.

სამკურნალო კაბინეთი ექიმ
### ალექსანდრე დავითის ძის კეკელიასი
იღებს წყლულისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება ქალებთა და ბავშვთათვის 4—5 დანარჩენები 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნორდ“ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

მარტის 20 გაიხსნა ახალი
### სამკურნალო
ყოველგვარ ავადმყოფთათვის ექიმ ე. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის
სამკურნალოში იარსებებს კბილის სამკურნალო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის და („კიროჩკინი“ ქუჩ. კუთხე № 22 შესავალი კიროჩკინი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.
ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.
ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

გაიხსნა
### თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)
### ექიმი დონხინისა
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 114. (კინემატოგრაფი „აპოლო“-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
### კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი [illegible] კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილით 8—9-მდე საღამოს 5—7. ტელ. № 17—21.

ექიმი
### გ. წინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ-ის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა. გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. იღებს: დილით 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე; ყოველ დღე, გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლო, სასტუმრო „ბრისტოლის“ პირდაპირ.
თ—1018—45

ექიმი
### ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა (ხელოვნური პნევმოტორაქსი) ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე.
მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.
თ—1536—40


სტამბა „ცხოვრება“ კოოპერატივის გამგეობის შენახვით № 4.